ISSN 0132-6015

ნიანგი

23

დეკემბერი

1990

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნობელის პრემიაზეც!...

თავმჯდომარეა სესიის
ხახვაშვილი თუ ხახვაძე —
უარს მეტყოდა პირადად
შესვედრაზე და ნახვაზე!
არა სცალია, იგონებს
ალბათ ჰაერის ტალონებს
და სესიაზე ღებულობს
ყოველდღე ახალ კანონებს!
ამიტომ აღარ წავედი
მოსკოვს „ნიანგის“ ელჩივით
(მოსკოვი ახლა ვიხია, —
გორბაჩოვის თუ ელცინის?!)
ამიტომ ბარათს ვუგზავნი,
რაც იმ ბარათში წერია,
არაფრით შემილებია,
არაფრით შემიფერია.
ვწერ თავმჯდომარე ხახვაძეს, —
ვწერ, რა თქმა უნდა, რუსულად, —
სანამდე არ დაშრობილა
სოფლად წყარო და რუ სრულად,
მინდვრებს მიჰხედოს სესიის
ჯარ-დეპუტატებიანად:
ლპება ხახვი და ნიორი
და კარტოფილი მთლიანად!..
დარჩათ თაგვებს და ბეღურებს
ხორბალი ნახორბალარში!..
სხვაც მსგავსი რამე მრავალი
წერია იმ ჩემს ბარათში!
ყველაფერს აღარ ჩამოვთვლი,
ზომა ხომ ლექსის წესია!
მეც ისე ხომ არ ვილაყბებ,
როგორც ხახვაძის სესია?!
წინადადება შემომაქვს:
თუმცა არ არი „კაროლი“,
რო ვერ დაითვლი, იმდენი
შექმნა სამეფოს კანონი!
მერე რა, თუ კარტოფილი
მაინც დალპება წვიმაში?!
თავმჯდომარეს რა საქმე აქვს
ამ ნაირნაირ წვრილმანში?!
დალპეს
ხორბალიც,
კომბოსტოც,
თუნდ ხახვიცა და
ნიორიც, —
ოღონდ კანონი გვეწეროს
ქაღალდზე კანონიერი!
ხომ შეადგინა ამხელა
ქვეყნის დამშევის წესები?!
„ხოიუზ ნერუშიმისა“
ხო შეარყია ფესვები?!
სხვა ვინ შეძლებდა, რომელი,
რომელი კანონმდებელი?!
ხახვაძე თავმჯდომარეა,
განა შტერი და დებილი?!
ამიტომ წინადადება
შემომაქვს, —
მე ვწერ ასედაც, —
წარ...
წარვადგინოთ ხახვაძე
ნობელის პრემიაზედაც!

ლადო სულაბერიძე
ანუ სულა ამური

ეროვნული მოძრაობის ბრალია?!

ხალხში დადის ჭორი, ცუდი ხმები და,
ზოგიერთი ავრცელებს და იჭერებს! —
ჩვენს დაღმასვლას აბრალებენ ზევიდან
ეროვნული მოძრაობის ლიდერებს!
უგემური არის მსხალი, ატამი,
ნესვიც გახდა უგემური ძალიან!..
ბაზარში რომ ხუთმაგი ღირს ქათამი,
ეროვნული მოძრაობის ბრალია?!
მოწყენილან მოლაზიის დახლები,
გამყიდველს არ ეცინება, დარდიანს!..
კვერცხი არ გვაქვს!.. დავიჯერო, ქათმებიც
საქათმიდან მიტინგებზე დადიან?!
არ გვაქვს ძაფი, ფართალი და ავეჯი,
არ გვაქვს ზეთი (თუ გვაქვს, თითქმის წყალია!..),
„მანავს“ ვსვამდით და რომ არ გვაქვს „გარეჯიც“,
გაფიცვის და მიტინგების ბრალია?!
დღეს სოფლებში ძროხებს ისევ წველიან,
ყველას გვიკვირს: „ნეტავ სადღა მიდის რძე?!“
ეს ამბავი — დავიჯეროთ, ძნელია, —
მაგრამ, იქნებ, ძროხაც დადის მიტინგზე?!
ხულ ხსვა იყო, რომ გვიბერდა ომის დროს,
საქართველოს ახლა უკირს ძალიან!..
ამ ბოლო დროს შობადობამ რომ იკლო,
ეროვნული მოძრაობის ბრალია?!
ყველაფერი უცებ გახდა ძვირი და,
ზოგი ნატრობს პერიოდებს ადრინდელს!
რამდენ რეგვენს დაუღია პირი და
ჩვენს დამღუპველ იმპერიას ადიდებს!
სიგარეტი, რაც გვაქვს, ისიც მურალია!..
სადღა გაქრა ასანთი და რვეული?!
ეროვნული მოძრაობის ბრალია,
მათხოვრებად რომ ვართ გადაქცეულნი?!
გლეხმა მტერს რომ საშოვარზე გასდია,
ცხვარს და ხბორებს რომ აღარ ზრდის მთის შვილი,
ბაზარში რომ გოჭებს ოქროს ფასი აქვს, —
ღორებმაც ხომ არ დაიწყეს შიმშილი?!
ეროვნული მოძრაობის ბრალია,
კარიერი წყლებს რომ ამღვრევს და ბილწავს?!
თაფლს რომ წამლად ვერ იშოვი, ძამია,
ფუტკრებმაც ხომ არ დაიწყეს გაფიცვა?!
ყველაფერი დღეს ზემოდან იხრწნება!
ხალხს ხომ ასი ყური აქვს და თვალი აქვს!
ეჰ, რამდენი ბრიყვი გვიან მიხვდება,
ყველაფერი მართლა ვისი ბრალია!

ვანო ცინცაძე



— უფროსო, მოდი, მოშიმშილეებს ერთი კვირით გვერდით წამოუწექი და ხალხის გულსაც მოიგებ და ნონაშიც დაიკლებ!

აბოლოსიანი ანეკდოტები

როგორც კი გაიგო ევამ, აკრძალული ხილიაო, ეცა, მოწყვიტა და შეჭამა!

როგორც კი გაიგო ღვინის მოყვარულმა, ლოთობა არ შეიძლებაო, შეეჭვდა, — აბა, ღვინო რატომ არსებობსო?! — და უფრო მიეძალა!

როგორც კი გაიგო მწეველმა, თუთუნში არსებული ნიკოტინი მავნეაო, არ დაიჯერა — თავად ექიმები რაღად ეწევიანო?! — და ორმაგად გააბოლა!

როგორც კი გაიგო ადამიანმა, ფეხით სიარული აუცილებელიაო, გაუკვირდა — ავტომანქანა სამუზეუმოდ კი არ შეუქმნიათო! — და სხვების ჯიბრზე უმანქანოდ ერთი ნაბიჯიც აღარ გადადგა. იჯდა მანქანაში დღეცა და ღამეც, ღამეცა და დღეც და დაემართა ინფარქტი!.. გაყიდა მანქანა, შეიძულა ტრამვაიც, ტროლეიბუსიც, ავტობუსიც და დაიწყო ფეხით სიარული. ერთხელ გზად მიმავალი მეზობელმა შეიპატიჟა მანქანაში. არ ჩაჯდა! განაწყენდა მეზობელი — არ მიკადრაო! დაირხა ხმა — გაყოყოჩდა, არავის კადრულობსო! მეორედ მიპატიჟებისას ჩაჯდა, შემდეგშიც არ უთქვამს უარი, რადგან ვერავინ დაარწმუნა ფეხით სიარულის ნამდვილ მიზეზში, ყველას მომდურება კი არ შეიძლებოდა! ზოგჯერ ნაინფარქტალი გულის გამო სახლიდან გამოსვლა შეაგვიანდა და სამსახურში დროზე მისასვლელად ტაქსით იმგზავრა. თვეში 25 დღე მაინც მანქანით მოუწია მგზავრობა! ვეღარ გაუძლო მისმა გულმა ამდენ უმოქმედობას და... გაჩერდა!

ეს ამბავი მე შემემთხვა, მე! ვწევარ ახლა საფლავში და ყველას გასაგონად მსურს ვიყვირო:

დაიცავით კეთილი და პატიოსანი ადამიანები ტექნიკის შემოტევისაგან, ხოლო ავტომობილები ინტრიგანს, ქურდს, ბოროტხა და ყოველგვარ ავისმქნელს დაურიგეთ, თუნდაც უფასოდ!

გივი ზედელაშვილი

ელგუჯა მერაბიშვილი

ეკოლოგიური კლოუნადა

ეკოლოგიური კლოუნადა

ბატონი ამბერკის წინ, მანქანის ქარსაცავ მინაზე, რეზინის ძაფზე მოქანავე ეკიდა უსახური კერპი; ვერ მიხვდებოდი, იყო ბინკა, ეშმაკი თუ ავსულთა მარეკი. ჰქონდა კერპს მელნისფერი თმა გაჩეჩილი; პირში ჩიბუხგაჩრილი და თავკომბალა რაღაცით ჰგავდა ოჩოკოჩსა თუ მის ძმა კოპალას.

თუ ვინმეს თვალი დარჩებოდა მასზე, — ეს გახლავთო თანამედროვე ეკოლოგიის კერპი, — წარუდგენდა ხოლმე ამბერკი. და იქვე დახძენდა, — მას ჯერ არც ერთი ეკოლოგიური პრობლემის წინაშე არ მოუხრიაო ნეკი.

გაჰკრავდა ამბერკი ახანთს და მიუტანდა თავკომბალას ატრუსულ ყბასთან, ეკაჩებოდა ჩიბუხს კერპი ყოველი ხახრით, ყოველი კუნთით და უკანიდან გაბმით სდიოდა ფუტი. და იყო კერპი გადამღრძვალი, ვითარცა ბოლო სტადიაში ქლექი, ვერმიშელ-მაკარონივით ჰქონდა გაწრიოკებული ხელ-ფეხი.

ეკოლოგიის აქტუალურ საკითხებზე პუნქტუალურად კითხულობდა ლექციებს ბატონი. ამბერკი და ნიადაგ მივლინებულს ფეხქვეშ ედო უჯარმა, გორი, ვანი, ურეკი და თვალსაჩინოებად ყველგან დაჰქონდა თავისი საგზაო კერპი. იყო ამბერკი დაქოქილი საათივით აქაქანებული ორატორი და ნიადაგ იმითი აშინებდა მსმენელებს, თუ რას უქადით მათ ქარხნის მილი, მანქანის საქშენი და მოშლილი კარბიურატორი; თუ რას იწვევს ჩამრეცხი წყლები და მანქანის გამონაბოლქვი აირი, ამაზე ბრძენ ლექტორს თვალსაჩინოებანი ჰქონდა ნაირ-ნაირი.

და ჰყავდა ლიმუზინი, ვითა ცეცხლის რაში ამბერკის და იმითი დაჰქროდა მთახა და ბარში, და გამოსდიოდა მანქანას კვამლი ბოლქვ-ბოლქვი, ფრუტუნებდა, ქრებოდა და ხშირად ხდებოდა ხელით დახაქოქი. აქ ამბერკი ისეთ ხახეს მიიღებდა, თითქოს ძალიან კმაყოფილიაო და ჩაილაპარაკებდა ხოლმე, — მშობლიური მანქანისა კვამლიც კი ტკბილიაო!

გზად მიმავალ ბატონ ამბერკის თავიანთი ეკოლოგიურად უწიგნური საქციელით ხოფლელები ხშირად თარსავდნენ — იდგნენ და ხან ჭერამს, ხან კაკალს კრეფდნენ ტრასაზე. გააჩერებდა ამბერკი თავის კვამლისმფრქვეველ „უეიგულს“ და დიდხანს, დიდხანს მათი შეგონებით იფხანდა გულს: — რით ვერ შეიგნეთ, კაცის ნათქვამს რად არ იჯერებთო, ათასჯერ შემიხსენებია, ბენზინი ეთილიანია და შარაგზის ორივე მხარეს ხეხილსა და მის ნაყოფს რადიაციული ტყვიით აჯერებსო!

ერთხელაც ახლოს მივიდა, მამაშვილურად შეხედა ხეზე ახულ ქალებს ქვემოდან, თან ეცნობოდა ქალის თეთრეულის მოდას და თან აკანკალებული ხელით ხსნიდა ქაღალდებით ხავსე „დიპლომატ“-ჩემოდანს. იქიდან ამოიღო ლექციად დაწერილი მრავალი შეგონება და დიდხანს ცდილობდა ეკოლოგიური ჭეშმარიტებისაკენ მოექცია მათი გონება.

— თუ ეკოლოგიურად ჭუჭყიან ხილს გაუფრთხილებლად მიაძღებიო, მიხედ-მოხედებაში აღარ გექნება ეგ თიმთიმა ბარძაყებიო, ახლა რომ მისი ერთი შეხედვით ჭკუას კარგავენ უაძახებიო! — ასე დაიწყებდა და აღარ გაათავებდა, სანამ ყველას ქადაგებით არ მოაბეზრებდა, ხელს არ მოუთავებდა.

ასე და ამგვარად მიუყვებოდა ბატონი ამბერკი გზა-შარას და თითქმის ყოველ კილომეტრზე აღმოაჩენდა, რომ იგი ამაოდ დამშვრალა. არ გადიოდა გზაზე შემოყრილ ხალხთან არც ზნეობრივი და არც მკაცრი კანონები თუნდაც ჰამურაბის, გზისპირებზე კრეფდნენ და კრეფდნენ კაკალს სამურაბეს!..

უძლური იყო ამბერკის სიტყვიერი ისარ-ბოძალი, ხის ტოტებზე იყო გასული დედაკაცი, ქალი თუ რძალი!..

მათმა გმირობამ უცაბედად გაახსენა ოჯახის მამას, რომ მის ჯალაბსაც ძალიან უყვარდა კაკლის მურაბა. — ბარეს რაიონში ვარ, შევარჩევო ეკოლოგიურად ხუფთას და თხილის წნელით მოწნული სავსე კალათით კარს მივადგებიო ჩემს ცოლ ხათუთას!

— ეს რა კ*ეი მოვიფიქრეო, — დიდად ილხენდა ბატონი ამბერკი და ჩიბუხის პლაკუნით, თავის ქნევით ემოწმებოდა მას ქარხაცავ მინასთან მობუქნავე კერპი.

წავიდა ამბერკი ადგილობრივ სადაბო ბაზარში, კაკლის ყიდვის გარდა სხვა განზრახვა არ სდებია უზურში, მხოლოდ ამ მიზნით შეარჩია მან ერთი გულმისავალი დიაცი, თვალები რომ მიუგავდა ველის ჰიაციანტს, ხოლო მკერდი აფუებოდა გაღვივებული ცომის გუნდებად და თანაც ისეთებად, უმალ ხელის შეხება რომ მოგინდება. პირდაბანილს ღაწვები ჰქონდა სველები და ეკოლოგიურად ხუფთა ჰქონდა ხელებიც.

— ხაიდანღაც მეცნობიო, — შეხცინა ამბერკიმ და უნებურად ავარულად ჩამოიფხატა კეპი. დიაცი მხიარულად ტკარცალებდა და თან თვალებს მაცდურად აპარპალებდა. მერე წაიტუტუნა — მეც მეცნობით, ბატონოო, თქვენ ის კაცი არა ხართ, ხალხს რომ ეკოლოგიურად პატრონობთო?!

ამბერკის ეამა თავისი პერსონის ასეთი პოპულარობა და ღმერთის მაგიერ მადლობა შეხწირა მთავრობას. მერე ამ გულმისავალი დიაცისგან ბლომად იყიდა კაკალიც და ჭერამიც ისე, რომ შინ საყვედურს ვერ ეტყოდა ვერავინ.

ჩატვირთა ამბერკიმ თავისი მანქანა და საქშენის ხრჩოლებით, თან ბათქაბუთქით თბილისისაკენ გამოაქანა.

გულმისავალი დიაცი ლოყაზე ხელშემოდებული დიდხანს იდგა დახლთან, კიდევ კარგი, მარტო ის არ იყო გაკვირვებული და მულიც თან ახლდა, მერე მათ მოაკითხა მულის ქმარმა მიტომაც და ხამიევნი ერთად ჰკვირობდნენ ამბერკის მიამიტობას. ნუთუ, ასე იყო ბეცი ტრასაზე ნანახი კაცი?

ხოლო ბატონი ამბერკი და ქარხაცავ მინასთან მისი მობუქნავე კერპი უკვე უახლოვდებოდნენ თბილისის განაპირა კემპინგს, უკან მიხთრევდა მათ კვამლის კუდი ბომბორა და ეჩვენებოდა ხალხს კვამლის მთა გომბორად.

და ბატონ ამბერკის, ნაღდ კაცს, ბუნებით ლიბერალს, ფრიად მოსწყუურდა ეკოლოგიური ხიმღერა. კრინით წამოიწყო მარტომ, თან გამეტებით აწვებოდა აქსელერატორს:

მამაჩემი — პაპას კვერი, ორი ფეხით დადიოდა,
პირში ჩიბუხი ეპირა, ბოლი ხულ არ გახდიოდა!
ვოხოხოია, მრავალეამიერ!

თბილისში ხალამო იდგა თბილი, და იდგა მტკვრის ორივე სანაპიროზე გახურებული აირების ჯანღი და დაჰფრიალებდა ქალაქს თავზე, ვითარცა შავი ბაირაღი!..

ხოლო გზის ორივე მხარეს ცას ზარბაზნებივით შეშვერილი ქარხნის მილები ჩიჩახვდაბერილი მამლებივით დაჰყიოდნენ ქალაქს მავნე აირებით ახტვირებული მძლე საყვირებით.

მიჭრიდა შინისაკენ ეკოლოგიურად ხუფთა მანქანითა და ტვირთით ამბერკი, ქარხაცავ მინასთან კი თავმომწონედ ბუქნავდა მისი ეკოკერპი.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

რ ი თ ი?!

ეს სინამდვილეა,
ზღაპარი არ არის,
არც გამოგონებული
მ ი თ ი:
სასახლე აიშენე,
ბროლ-ელერცხლით
დაიმშვენე,
მანქანაც იყიდე! —
რ ი თ ი?!
ნიჭიც გაქვს, უნარიც
ქცევა კი — ფლიდის!
— „ცხოვრება დუმაა!“ —
და შენკენ ითლიდი!
გ ა მ დ ი დ რ დ ი,
გ ა ი ვ ს ე,
ძ ა რ ც ვ ი თ და
ს ი ფ ლ ი დ ი თ!..

თენგიზ კოტბერიძე

სატირული ლექსიკონიდან

თუ არა ქურდობით,
თუ არა ხვეჭით,
რითი გამდიდრდი,
რ ი თ ი?!.

მოთმინება იობიწებური

არ მინდა — ვითმენ!..
მტკივა და — ვითმენ!..
თქვენც ჩემს დღეში ხართ?!
თქვენც ისე, ვით მე?!.
და ბრუნავს მიწა,
მიდის ცხოვრება!..
ეს წუთიც, ალბათ,
გვემახსოვრება!..
და თუ არადა,
ვიხსენებთ რითმე!..
ის თავს გავიდა
და ჩვენ კი ვითმენთ!..
და ვთვლით კვლავ იმას
აბრამის ბატკნად!
ისევ ჭოჭმანი!..
კვლავ ისევ: „რა ვქნათ?!“
„ეს ღალატია!“
თავს რატომ ვიგდებთ?!
ნუთუ არ გვესმის,
ნუთუ ვერ ვიგნებთ, —
მე რომ არ მინდა,
შენ რომ არ გინდა,
მას რომ არ უნდა
და მაინც ვითმენთ?!



ნახ. ბაკურ ინანიშვილისა



გევრი იფიქრა გორბაჩოვმა!..

პირდაპირ მხიბლავს მიხეილ სერგის ძე გორბაჩოვის ჩვევრმტკიცეულობა! ამდენს და ამხანაგ ლენინივ არ ლაპარაკობდა! ხალალნი ხომ სიტყვას ტკივილიანი ისროდა, მოგვრიდეს, მაგრამ ხასიელლოდად! ბრეშნოს ინტელექტის სიღარიბე ხელს სულიკ არ უშლიდა, რომ მრავალსათაიან ქაღაღად დაკარდნილიყო! ბრეშნევი სხვის ტექსტს ძალიან ლოღნიდა და, მგონი, ფეიდონივ არ ეხმიდა, რათა გვმოძღვროდა! ხასეფნერიდან. ძალიან ყველირსა ისეთი ხელმძღვანელი, რომელიც არა მარტო დემოკრატიისაკენ მიგვიძღვნა, დემოკრატიულად გვმოძღვრა, იგი დემოკრატიულად ჩვენს ბაგეგრადაც ფიქრობს!..

ამა წლის 21 ნოემბრის მის პრეზიდენტიენტსკის ვუსმენეფი. მიხეილ სერგის ძემ ეურნალისტებს ეაიმდო, — ბევრი ვიფიქრე, ავწონ-დაწონე და დავამკვეფნ, რომ ჩვენ, ე. ი. რუსეთხალკები, უფრო-მაზეგოდად ვეი ეაკვლეთიო! ბარალილი, კონსტიტუციაში ეკიეენია, რომ რუსეთხალკებს უფლება აქვთ ეაკიდნენ კაკბრიდან, ეაგრამ მე ამდენი ვიფიქრე („რაზმაშლიალი"), რომ მიეგსდი, ეს შეიძლებელიაო! შეეძლებელი კი ამბავნ არაფი, რომ შეეძლებელიაო და ა. შ.

მოკლედ, რაკი პრეზიდენტმა იფიქრა, მასთან ეაბაკი ბარალეკ შეეძლებელია! ამასაც თუ ეაკეთოვლანენენენ, რომ ჩამდენიმე დღით პოლიტიკურ დაპრიტეხას დაეკპირდა. ჩვენს მიერ ირიეულ ლიდერებს ადგილი მოიხენენიდან, ეეკეი შემეფარა, რომ ამავე დემოკრატიული წესით ხომ არ ეკიარეს ძმერ კაკბიაში დატოვებას, რა მეთოდითაც ესია ამრილ ეკეთეფხენენ-მეთეთ! ხალეარა, ეაგრამ ამბიდეს ომეეარის პრეზიდენტს მისი ინფორმატორები აჩ უფიანდიხიდ ატეუეენენ, აჩ იეი ჩემე ნაკლენ ინფორმატორეფილ, ანდა, ენამ მოკაკეკენ. ეაგრამ მაინც ეიიეკეთ, ალბათ, ეაჩკეკ, არ მინდა დაეიიერო, ეკიტეუეეს-მეოეი, უფრო რბილი სიტეკვა უნდა ვთქვა-რო, — ეაჩკეკ ეკეთნეკეს! ხაკეკ ის ეაჩლაკეთ, რომ მიხეილ სერგის ძეს ხალეარისპირეთიდან ამრილიდ ხაკეფთარი ეროვნენის მოკალეკეთა ხმეები ეხმის (ეარეა „ეეუნიფეფლეთ" დიკეიაზე დაეეენეფფილ), ხაკეფთარი ეარაბკეცენის ლარეიეენის ეარდა ხმეთა ლარეიეენეს აჩ ეკოის, ლანეფხერეკიხა და პრეზსეენენ ახე მოიხსენიენეს, თითქოს ანარი ხალხის არიეულნი ეო არა, ხადან ბუხეინხაკეთ და ჩიუშეხკეთან (ადარანდეფი ბეკეარეეს, ანალნდეფი ბერეარი) ხაჩეფდრო ეკიეარიანლენის ეკხი, ანდა ხალხეარეულენის უუფრაპეკეთი მოხკადნენ თავიანთ თანამდებობებზე!.. ხაკარიეულენეს ეხკეფთან ერთის ეკ ხალეკ არარსებული ხმეები ეხმის, ირონიით მოიხსენიენეს „ახალ დემოკრატეხსა და ხალხს ზეეეკეთხიოო", ამეორეხმის!.. ეაკ ეიიეთ ან ეკის, რომ მრავალპარტიული, დემოკრატიული არარეენეეს ხკრარეთ ხალხის ერთიანენ ნენის კაკმიაბეფლეხა რომ არის!.. ეოლეიეთ უფალნე, რომ ბატონმა პრეზიდენტმა ხაკეფთან იფიქრის, თორემ, ეან ეკის, ხეკალ-ზეე, ეაკეეს, ეაკთი ერთი-ორა კაკი მაინც „ეაჩოძეკრნს", ეანეკ ოედაათი ეერეკეხლანთან კრეფლნი ეუნეკეთ და ამის ხამოკეფზრეკი ხაკეფთენი (ეკეარეკეფ, ხელშეკრულებაში) „ნენაეოოფლიანი" გაეხეეხის!..

ᲞᲝᲞᲝᲕᲘ ზ. მ. ზღვაზე ისეენენდა. რუსი ოფიცერი გაიცინა, კაი კაცი იყო და ერთმანეთი მოეწონათ.

— ეკ! — ამოიოხრა რუსმა, რა იქნებოდა, ყველა რომ რუსეულად ვლაპარაკობდეთ?

— რატომ რუსულად?! — ეწყინა პოეტს. — უმჯობესია. ყველამ ქართულად ვილაპარაკოთ, ერთმანეთს მაშინაც კარგად გაიეგებთ!

— რას ამბობ?! — გაოცდა რუსი, თან ქედმაღლურად დაამატა: — ჩვენ ხომ რუსები ვართ!

* * *

ᲛᲔᲠᲐᲜᲔᲚᲐ ᲒᲐ. ᲥᲐ ზღვაზე რუსი მიიორი გაიცინა. იმ მიიორს კიბეა ცოლი ჰყავდა, პლაჟის კოსტიუმში გამოწყობილი, მეგავ ზეგერემანს გამოსდებდა მკლავს და დიუკვებოდა ნაპირ-ნაპირ. ქმარი კი თავზაკენდრული იყდა ქეიშში და ბოიმთი ამბობდა:

— დედას ეტეირებთ მაგ რუმინეულებს! აბ ეუნდოვართ, ხომ?!

ეს ის დრო იყო, რაც რუმინეთმა რუსეთის სამხედრო მრჩეველები გაეაძეკა. ამ საწყალ მიიორს საკეთარი ცოლი ვერ დაეპრიჩინებინა და მთელი ქვეყნიერების დამორჩილებასა და დასსეს ლამობდა.



* * *

ᲐᲠᲐᲨᲝᲠᲘᲐᲜᲔᲑᲘᲡ დაიკივნეს: — არ გვინდა ეს კაცი რაიკომის მდივანიო! ერთმა კი, სხვაზე მეტად რომ აქტიურობდა, ზედ დაამატა: — გვინდეს, ბატონო, პარტიიდან ფა, თუ უნდათ, მერე ირჩიონ მდივანიო!

* * *

ᲔᲠᲗᲘᲐ ᲤᲣᲜᲥᲪᲘᲝᲜᲔᲠᲘᲐ ᲐᲠᲘᲠᲓᲐ: — რას შერეზთინ, ამა და ამ კაცს კოლმეურნეობის თავმჯდომარედ რომ ირჩეკთ, საკმისო არა გიეგებია რა, კოლმეურნეობას საბოლოოდ დალუპავს და დაწლილ!

მავანმა უთხრა:

— იმიტომაც ვირჩევეთ, მალე დალუპოს და დამწლოს, იქნებ გლეხებსაც ეკეთეფლოს რამეო!

* * *

ᲚᲝᲛᲘᲐᲜᲘ და აზრბაიჯანი ერთმანეთს რომ გადაეკოდა, მიხეილ გორბაჩოვმა განაცხადა: — არა და არა! დადგენილი საზღვრების შეცვლა არ შეიძლება, ყველაფერი აირეკვა და დავიღუბებითო!

ლიტაკმ კაკშირიდან ეკსკლა რომ მოინდომა, იმავე გორბაჩოვმა განაცხადა: — თუ გაზეეთი, ვილნის ეუბრენია და კლაიპედა უნდა ჩამოვაკრთო, რუსეთ-ბელორუსიის ინტერესები ილახებო!

* * *

ᲔᲠᲗᲘᲐ დამᲬუᲜᲑმა პოეტმა იფიქრა, ლენინზე ლექსს დაეწერ, „ეოსკარში" მიეტანს, მატარებლიკით გამომდგება, ის ლექსი სხვა ლექსებს. გაიყოლებს, ეკურსიეს ფურცლებზე მატარებელ მიმმეული ვაგონებივით შეაგრძოლებსო. „ეოსკარში" აიღო და ის ერთადერთი ლექსი დაეტოვებდა. პოეტი ჩიოდა: — ეს რა მიქნეს, მაგისი დაბეკეფა არ მინდოდა და ძალათი დამიბეკეფეს!

პოეტმა მ. ყ-მ ეთხრა:

— ძაბა, ლენინზე ლექსი არასოდეს დამწერო და ძალათი ეერავინ დამიბეკეფავსო!

* * *

ᲒᲐᲠᲝᲚᲘᲔᲗᲘᲡᲘᲜ მᲫᲝᲠᲝᲚᲐ გგრძოთა მოედანზე გამოაცხადა:

— გაბერება — „ᲫᲘᲪᲘᲠᲘ ᲛᲝᲬᲐ"!

მოეიდნენ ეიღაც ტიპები და ჩაშოიეკვნეს.

* * *

ᲛᲔᲠᲐᲜᲔᲚᲐ გ. ბ-მ ᲕᲔᲠᲗᲚᲘ ეუნეკნენ ნაბატი, რომელზეც გამოსახული იყო ლენინი და ბაკშეკები

ᲠᲔᲪᲔᲠᲗᲘᲐ ᲐᲠᲨᲝᲛᲔᲓᲐᲚᲐ ᲮᲔᲚᲘᲗᲐᲡᲐᲠᲗᲐᲚᲘ

ᲐᲛᲐᲖᲔ ᲬᲘᲜᲐᲐᲛ ᲩᲘᲗ ᲮᲐᲑᲣᲚᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲛᲝᲜᲐᲬᲘᲚᲔᲗᲐ ᲠᲔᲪᲔᲠᲗᲘᲐ ᲐᲠᲨᲝᲛᲔᲓᲐᲚᲐ ᲮᲔᲚᲘᲗᲐᲡᲐᲠᲗᲐᲚᲘ — ᲛᲝᲜᲐᲬᲘᲚᲔᲗᲐ ᲠᲝᲚᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲐᲠᲐᲡᲐᲠᲔᲑᲝᲠᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲩᲐᲛᲝᲜᲐᲗᲕᲐᲛᲘ ᲐᲠᲐᲡᲐᲠᲔᲑᲝᲠᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲩᲐᲛᲝᲜᲐᲗᲕᲐᲛᲘ ᲓᲐᲛᲘᲜᲐᲗᲐᲡ. ᲯᲔᲠᲐᲜᲓᲘᲡ ᲓᲐᲠᲬᲛᲣᲜᲔᲑᲐᲨᲘ ᲐᲠᲐᲡᲐᲠᲔᲑᲝᲠᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲐᲠᲐᲡᲐᲠᲔᲑᲝᲠᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲩᲐᲛᲝᲜᲐᲗᲕᲐᲛᲘ ᲓᲐᲛᲘᲜᲐᲗᲐᲡ. ᲛᲔᲠᲔ ᲓᲐᲜᲘᲠᲘᲡ ᲛᲘᲣᲠᲔᲚᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ ᲓᲐᲠᲬᲛᲣᲜᲔᲑᲐᲨᲘ ᲐᲠᲐᲡᲐᲠᲔᲑᲝᲠᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲩᲐᲛᲝᲜᲐᲗᲕᲐᲛᲘ ᲓᲐᲛᲘᲜᲐᲗᲐᲡ. ᲛᲐᲒᲠᲐᲛ ᲛᲔᲠᲔ ᲐᲠᲐᲤᲔᲠᲘ ᲐᲠᲘᲡ ᲒᲐᲛᲝᲠᲘᲪᲮᲣᲚᲘ ᲓᲐ ᲛᲘᲜᲓᲐ ᲛᲐᲒᲐᲜᲐᲓ ᲓᲐᲛᲘᲜᲓᲔᲑᲘᲡ!..

ᲔᲙᲝᲚᲝᲒᲘ

ᲑᲐᲠᲐᲜᲝᲕᲘᲡᲐᲨᲕᲘᲚᲘ ᲠᲣᲡᲗᲐᲕᲘᲡ ᲮᲐᲑᲐᲩᲝᲡ ᲙᲝᲜᲪᲔᲠᲜᲘᲡ ᲙᲝᲛᲘᲡᲐᲠᲘᲐᲢᲘᲡ ᲓᲐᲠᲒᲘᲡ ᲛᲔᲡᲐᲛᲔ ᲬᲔᲠᲢᲘᲚᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ ᲒᲘᲜᲓᲐ ᲩᲕᲔᲜ ᲛᲝᲚᲝᲪᲕᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ.

ᲒᲐᲜᲘᲗᲚᲔᲑᲐ

ᲛᲐᲓᲐᲠᲐᲯᲔᲚᲘ, ᲠᲝᲛᲔᲚᲗᲐᲜ ᲐᲠᲘᲠᲜᲐ „ᲚᲘᲢᲘᲐ", „ᲚᲘᲢᲘᲐ", „ᲔᲑᲢᲘᲐ". ᲗᲐᲕᲘᲡᲘᲗ ᲯᲮᲘᲜ ᲛᲘᲓᲘᲗ. ᲩᲐᲛᲝᲠᲩᲔᲚᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ ᲠᲣᲡᲣᲚᲘᲜᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ ᲛᲐᲒᲠᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲬᲐᲠᲩᲝᲜᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ ᲓᲐ ᲐᲠᲘᲡ ᲛᲘᲓᲘᲗᲘᲡ ᲛᲘᲓᲘᲗᲘᲡ ᲐᲢᲐᲠᲘᲡᲔᲑᲘ. ᲛᲐᲒᲠᲐᲛ ᲩᲕᲔᲜ ᲛᲘᲓᲘᲗᲘᲡ ᲛᲘᲓᲘᲗᲘᲡ ᲐᲢᲐᲠᲘᲡᲔᲑᲘ ᲐᲠᲘᲡ ᲒᲐᲛᲝᲠᲘᲪᲮᲣᲚᲘ ᲓᲐ ᲐᲠᲐ ᲒᲐᲜᲘᲗᲚᲔᲑᲐ. ᲛᲔᲠᲔ ᲐᲠᲘᲡ ᲛᲘᲓᲘᲗᲘᲡ ᲛᲘᲓᲘᲗᲘᲡ ᲐᲢᲐᲠᲘᲡᲔᲑᲘ ᲐᲠᲘᲡ ᲒᲐᲛᲝᲠᲘᲪᲮᲣᲚᲘ ᲓᲐ ᲐᲠᲐ ᲒᲐᲜᲘᲗᲚᲔᲑᲐ. ᲛᲔᲠᲔ ᲐᲠᲘᲡ ᲛᲘᲓᲘᲗᲘᲡ ᲛᲘᲓᲘᲗᲘᲡ ᲐᲢᲐᲠᲘᲡᲔᲑᲘ ᲐᲠᲘᲡ ᲒᲐᲛᲝᲠᲘᲪᲮᲣᲚᲘ ᲓᲐ ᲐᲠᲐ ᲒᲐᲜᲘᲗᲚᲔᲑᲐ.

ᲡᲐᲛᲘ ᲓᲔᲙᲔᲨᲐ ᲡᲐᲛ ᲚᲘᲓᲘᲠᲘᲡ

I

ᲫᲘᲠᲘᲗᲐᲓᲘ ᲔᲒᲝᲠ ᲙᲣᲜᲪᲔᲕᲘᲩᲘ! ᲐᲮᲚᲘᲠᲘᲗᲐᲜᲔᲑᲣᲚᲘᲡ ᲕᲐᲠ ᲗᲥᲕᲔᲜᲘ ᲡᲘᲢᲧᲕᲘᲗ ᲠᲘᲪᲮᲕᲘᲗ ᲠᲘᲗᲐ ᲒᲘᲗᲧᲝᲑᲗ, ᲓᲐᲮᲚᲘᲡᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑᲘᲗ ᲠᲣᲡᲣᲚᲘ ᲜᲘᲗᲧᲘᲗ „ᲔᲠᲔᲠᲔᲚᲘᲜᲒᲘ". ᲐᲮᲝ ᲣᲜᲓᲐ! ᲙᲝᲜᲙᲠᲔᲢᲘᲖᲔᲑᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲑᲝᲚᲔᲓᲘᲜᲗᲐᲜᲐ ᲣᲜᲓᲐ ᲓᲐᲮᲚᲘᲡ ᲓᲐᲮᲚᲘᲡ ᲓᲐᲮᲚᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑᲘᲗ ᲒᲐᲜᲘᲗᲚᲔᲑᲐ. ᲠᲝᲓᲘᲡ ᲛᲘᲮᲔᲓᲕᲘᲗ, ᲠᲝᲓᲘᲡ ᲛᲘᲮᲔᲓᲕᲘᲗ ᲓᲐᲮᲚᲘᲡ ᲓᲐᲮᲚᲘᲡ ᲓᲐᲮᲚᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑᲘᲗ ᲒᲐᲜᲘᲗᲚᲔᲑᲐ. ᲛᲐᲒᲠᲐᲛ ᲩᲕᲔᲜ ᲛᲘᲓᲘᲗᲘᲡ ᲛᲘᲓᲘᲗᲘᲡ ᲐᲢᲐᲠᲘᲡᲔᲑᲘ ᲐᲠᲘᲡ ᲒᲐᲛᲝᲠᲘᲪᲮᲣᲚᲘ ᲓᲐ ᲐᲠᲐ ᲒᲐᲜᲘᲗᲚᲔᲑᲐ. ᲛᲔᲠᲔ ᲐᲠᲘᲡ ᲛᲘᲓᲘᲗᲘᲡ ᲛᲘᲓᲘᲗᲘᲡ ᲐᲢᲐᲠᲘᲡᲔᲑᲘ ᲐᲠᲘᲡ ᲒᲐᲛᲝᲠᲘᲪᲮᲣᲚᲘ ᲓᲐ ᲐᲠᲐ ᲒᲐᲜᲘᲗᲚᲔᲑᲐ. ᲠᲝᲓᲘᲡ ᲛᲘᲮᲔᲓᲕᲘᲗ, ᲠᲝᲓᲘᲡ ᲛᲘᲮᲔᲓᲕᲘᲗ ᲓᲐᲮᲚᲘᲡ ᲓᲐᲮᲚᲘᲡ ᲓᲐᲮᲚᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑᲘᲗ ᲒᲐᲜᲘᲗᲚᲔᲑᲐ. ᲛᲐᲒᲠᲐᲛ ᲩᲕᲔᲜ

ვიცინოთ, ცოლებმა აკეკეკინებენ!

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამ წერილისათვის იუმორესკა მინდოდა დამერქმია, მაგრამ რა გვეიუმორესკება, როცა ორი ეგური უნდა გვეჭიროს ხელში,» თუ ვიშოვეთ, რასაკვირველია!

პაპიროსებზე მინდოდა მეთქვა ორიოდე სიტყვა! ჰო, სიგარეტებზე! არამწეველი ამ წერილის წაკითხვისას იტყვის უსათუოდ: — გადააგდეთ და აღარ იწუწუნებთო! კი ბატონო, მშვენივრად ვიცით, პაპიროსი, წებოვანი თამბაქო ათას ჯანდაბას და დოზანას რომ ჰგავს: კიბოს, ცეროზს, სკლეროზს, გასტრიტს, ეფაზიას და ათას უბედურებას! „გადააგდეთ!“ სათქმელადაა ადვილი, თორემ ამის მთქმელმა ერთი თვითონ სცადოს, ბბა, რა გამოუვა! ესეც არ იყოს, არამწეველები რა, ორასი წელი ცოცხლობენ და ხალხალამათნი ჩადიან მიქელგაბრიელის საუფლოში?! ახლა ამაზე არაა ლაპარაკი!

ლაპარაკია იმაზე, სიგარეტები რომ არ იშოვება სოხუმში და სხვაგან. ყველამ თავის მამიდას მოუაროს და ამ შემთხვევაში ჩვენ სოხუმის გამოცარიელებული მაღაზიები არ გვაძლევს მოსვენებას! არა, შოვნით როგორ არ იშოვება! რამდენიც გინდა! გაიარეთ ბაზართან, მშვიდობის პროსპექტზე — ზუსტად დილის 8 საათზე რიკოთის ნიყვებივით ამოყოფენ თავს ბოშები!..

გაუმარჯოს სიგარეტების საწყობების მესვეურთ! მთელი ფული, რაც აფხაზ და ქართველ მწეველებს ჰქონდათ, ბოშების ჯიბეში გადააჩხრიალეს! მაგ დალოცვილებს ქართველისა და აფხაზისთვის მაინც მიეცათ! ფული რომ დაგვირდეს, ქართველი და აფხაზი გასესხებს მაინც, ბოშების საცხოვრისებს კი ვინღა მიაგნებს?!

ბარაქალა საწყობების, ბაზების მესვეურებს! არ გვუყავს ჩვენ, ქართველებსა და აფხაზებს გადამყიდველები? ისინი მაინც გაამდიდრონ! ეგეც სადმე შეგვხვდნენ სიგარეტების ფულით ჯიბეგასქელებულები და 1-2 ჭიქაზე დაგვპატიჟონ! არადა, ბოშა რას დაგპატიჟებს!

არ გვუყვანან ჩვენ გადამყიდველები ქართველებსა და აფხაზებს, დავიჯერო? რა ჯურის ხალხი ჩვენ არ გვუყავს — პოლიტიკოსები, ინტრიგანები, პროფესორები, „ანონიმშჩიკები“, ჰუმანისტები, ეკონომისტები, გამფლანგველები და... რაღა სპეკულანტები არა გვყავს?! დიახ, დიახ, ჩვენებური სპეკულანტები მაინც გაამდიდრონ მაგ დალოცვილებმა, საწყობებისა და ბაზების მესვეურებმა! უფალს რამ დაავიწყა, ყოველ ერს სპეკულანტი რომ სჭირდება და გამაიმასქნებელიც?!

უკანასკნელ ხანს რა არ შევთავაზე ჩვენს ხალხს: ხიმწიფის ხანა მიდგას და გენიალური აზრებიც ბლომად

მომდის ყოველდღიურად! მაგრამ ვის რად უნდა, ყველა უარყვეს! იქნებ ეს წინადადება — ჩემი პირადი გამოგონება — მაინც მიიღონ სიგარეტების ბაზების მესვეურებმა და პრაქტიკაშიც დანერგონ! მანამდე კი... ვიცინოთ, ვიდრე მანეთიანი „პრიმისა“ და „ასტრის“ წევით თითები არ გაგვყვითლებია მაროკოს ფორთოხალივით! დიახ, ჩვენ ვიცინოთ და ერთმანეთი ვჭამოთ დაუნდობლად, ჩვენი ფული კი სხვებმა ჭამონ სიცილ-სიცილით!

ანზორ გვარამია
(ქ. სოხუმი)



ნახ. მ. აბაზიძისა

— მასპინძელო, ღამეს არ გამათევინებ?
— ჯერ მითხარი, რომელი პარტიის წევრი ხარ და მერე ვნახოთ!

ბრაკონიერეშის ჰიმნი

პაროდია

ბრაკონიერების მძლე კავშირი კრული
ფაუნას და ფლორას გემრიელად ხრავს!
გაუმარჯოს ერთი ინტერესით შეკრულს,
ბრაკონიერთ კავშირს, ერთიანს და მძლავრს!

მისამღერი:

დიდება, კავშირო, შენ, თავისუფალო,
ფულების მოხვეჭის წყარო ხარ შენ!
მაშ, თოფი ორპირი და ბადე წვრილთვალა
კვლავ გამდიდრებისკენ გვიძღოდეს ჩვენ!

ტყის უსიერ ტევრში და მდინარის პირას
თოფის ჭექის შუქი გვინათებდა გზას!
ბრაკონიერები მან დაგვრაზმა მტკიცედ,
მოვიხვეჭოთ ფული — არ დავეძებთ სხვას!

მისამღერი...

ბრაკონიერების ბრძოლაში ჩვენ ვხედავთ
გასქელებულ ჯიბეს, მას ეუსწორებთ თვალს!
მჭრელი ცულის, ხერხის, თოფისა და ბადის
უსაზღვროდ და მარად ჩვენ ერთგულნი ვართ!

მისამღერი...

ბრაკონიერების სიმღერა

გადავხერხეთ ხე, ტყვია ვკარით ხოხობს!
ხე-ხე, ხე-ხე, ხე! ხო-ხო, ხო-ხო, ხო-ხო!

რა ხორცი აქვს ღორს! რა გემო აქვს მწვადს!
ხო-ხო, ხო-ხო, ხო! ჰა-ჰა, ჰა-ჰა, ჰა!

ირმის მოკვლა ღირს, მიხი ხუკი თუ გსურს!
ჰი-ჰი, ჰი-ჰი, ჰი! უჰუ, უჰუ, უჰუ!

დაუნდობლად ყელი გამოვლადრეთ შველს!
ჰე-ჰე, ჰე-ჰე, ჰეი! ჰე-ჰე, ჰე-ჰე, ჰე!

მტკვარში ვიჭერთ ცოცხალს, ხრამში კიდევ — ხრამულს!
ჰოპა, ჰოპა, ჰოპა! ჰაუ, ჰაუ, ჰაუ!

ხხალტით ვხოცავთ მწყერს, ძვლებიანად ვხრავთ!
ხე-ხე, ხე-ხე, ხე! ხა-ხა-ხა-ხა-ხა!

მფარველი მყავს ზევით, ვერ ჩაგვავლებთ ხელს!
ჰეი, ჰეი, ჰეი! ხე-ხე, ხე-ხე, ხე!

ნუგზარ აფხაზავა

ეროვნული ბიბლიოთეკა



№ 694
27.XII 1990

სსრკ-ის ნიღბები

ნახ. ვ. კუციასი

ზესტაფონური ანეკდოტები ბადრიაზე

ბადრიას სიდედრი გაუხდა ავად. ცოლმა იგი ექიმის მოსაყვანად გაგზავნა. კარგა ხნის შემდეგ ბადრია შინ მთვრალი დაბრუნდა.

— რა ქენი, კაცო, მოიყვანე ექიმი? — ჰკითხა ცოლმა.

— ექიმი არა, ქალო, მარა ზურია შემხვდა, რესტორნის წინ დაიცი, რა მითხრა?.. თუ არ შემოხვიდე, სიდედრი მოგიკვდესო! ჰოდა, შემეშინდა, მართლა არ მოკვდეს-მეთქი და მეც შევედი, აბა, რა მექნა?!

* * *

ერაფორმალმა სტუდენტმა შვილმა თბილისიდან დეკეში გამოუგზავნა ბადრიას: „ხახწრაფოდ გამომიგზავნე 1000 მანეთი, თორემ ეროვნული მოძრაობის მტრად გამოგაცხადებო!“

* * *

ერთხელ ზურიამ უთხრა ბადრიას: — რაა, კაცო, შენი მამალი 6 საათზე რომ მაღვიძებს ყოველ დილით!

— ნუ გეშინია, ჩემო ზურია, გადავიყვან ზამთრის დროზე და ხვალიდან 7 საათზე გაგაღვიძებს ბოლმე! — მიუგო სერიოზულად ბადრიამ.

შეკრიბა ერმალო მაღრაძემ

ნუთუ კიდევ ვნახავთ?!.

— ცხრა მთას იქიდან პატრონი მოდის! — ეკოსავით ისმოდა გადაძახილი ცეკა-„ტეკას“, რაიკომების, ქალაქკომების კაბინეტ-დერეფნებში და ყველა ემზადებოდა შეხვედრად!

აეროპორტი!.. კორტეჟი!.. ყვავილები!.. ტაში!.. ყველაფერი ჩვენი უდიდებულესობის საპატივცემულოდ!

საკმიანი ვიზიტია, საკმიანი!..

ჭუჩების გადაკეტვა!.. შეხვედრები ქარხნებში!.. ყვავილები!.. ტაში!..

პატრონის თითის დაქნევა!.. მორჩილად თავის დახრა!.. ცრუ სიცილი!.. ცრუ განკარგულებები!.. ცრუ დაპირებები!..

ბანკეტები წინანდალში, თელავში, ჭუთაისში, ზუგდიდში!.. კორტეჟი!.. აეროპორტი!.. ყვავილები!.. გაცილება!.. ტაში!..

რაც გვინახავს, ნუთუ კიდევ ვნახავთ?!.

ჯონი ბაზერაშვილი

პაციენტი ექიმთან

— შეიძლება, ექიმო? — კარი შეაღო პაციენტმა.

ექიმმა სათვალე შეისწორა, კარისაკენ გაიხედა და უთხრა:

— მობრძანდით, დაბრძანდით, გისმენთ!..

— პატივცემულო ექიმო, — თან წამლის შეკვრა მიაწოდა, — რაც ამ წამალს ვსვამ, თავბრუდახვევა, გულისრევა, თავის ტკივილი, სისუსტე, უმადობა დამჩემდა! მოკლედ, გამოჯანმრთელების მაგიერ, ძლიერი ავადმყოფი გავხდი!

ექიმმა წამლის შეკვრა გასინჯა, ფეხზე ადგა და იყვირა:

— რამდენი უვიცი ექიმია, სახელს რომ გვიტეხს! განა, ამ წამლის მიღება თქვენთვის შეიძლება?! რომელმა ექიმმა გამოგიწერათ ეს წამალი, მითხარით!

ქალი შეკრთა, თითქოს ენა ჩაუვარდა!..

— რატომ დუმხართ?! თქვით, თქვით, ნუ გერიდებათ!..

— თქვენ გამომიწერეთ, ბატონო, თქვენ! — მორცხვად მიაწოდა რეცეპტი დაბნეულმა პაციენტმა.

ზინა ათანელაშვილი

ეროვნული ბიბლიოთეკა

სუსხიანი სტრიქონები

სუსხიანი იდეებით ტვინს გვიჟყლეტდა დიდხანს კრემლი,
შვიდ ათეულ წლის მანძილზე არ შეგვაშრეს თვალზე ცრემლი!..

* * *

სამართლიან პასუხს ითხოვს ქართველის დედა თავდახრილი,
კრემლის კედლებს აზანზარებს ცხრა მარტი და ცხრა აპრილი!..

* * *

ცხოვრებას რომ ვუკვირდები, კითხვა ჩნდება ძალზე ხშირი:
კომპარტიამ ხომ „გვაშენა“, რაღად გვინდა კომკავშირი?!

* * *

სამოცდაათ წელს ვიძახეთ: „ძმაო, ძმითა ხარ ძლიერი!“
ყველა სტუმარი გავაძღეთ და ჩვენ კი დავრჩით მშიერი!

* * *

დახეთ, უმადურ ამ შოვინისტებს, ჩვენზე როგორი შური იძიეს:
ჯერ თვითონ გვჟლეტეს ნიჩბით, ხელკეტით, ახლა თურქები
შემოგვისიეს!..

* * *

გაჭირდა დანგრეული გზით თიანეთისკენ მგზავრობა
და კურსაც არ აბარტყუნებს ადგილობრივი მთავრობა!

ზალვა ჰოლიკაური

უცხოური იუმორი

* * *

— როგორ გრძნობს თავს თქვენი მეუღლე?

— გმადლობთ, ძალიან კარგად, მაგრამ, ვფიქრობ, რომ საავადმყოფოდან მისი გამოყვანა ჯერ ადრეა!

— შეხვდით მის მკურნალ ექიმს?

— არა, ვხვდები მხოლოდ ექთანს, რომელიც მას უვლის.

* * *

— ჯული, რას გააკეთებ, როცა გაიზრდები?

— რასაც დედაჩემი აკეთებს: სულ დიეტაზე ვიქნები!

* * *

— გმადლობთ, ექიმო! წელზე ტკივილებმა გამიარა, მაგრამ მაინტერესებს, ეს რადიკულიტი იყო?

— არა ბატონო, თქვენ მხოლოდ ჰანჩიკები გქონდათ გადახლართული!..

* * *

შვეიცარიის ერთ-ერთ ქალაქში დგას დაფა, რომელზედაც ასეთი წარწერაა: „გთხოვთ ყურადღებით მართოთ მანქანა, რადგან ექიმი და მეკუბოე შვებულებაში არიან!“

* * *

სადგურზე, მატარებლის დაგვიანების გამოცხადების შემდეგ, ხანდაზმული მამაკაცი ამბობს:

— არაფერია საგანგაშო: მაგ მატარებლით ჩემი ცოლი მოდის!

* * *

ღამის სამ საათზე პოლიციელი ქუჩაში აჩერებს გამვლელს:

— საით მიბრძანდებით?

— ლექციებზე, სადაც მორალის შესახებ უნდა მესაუბრონ.

— ნუ იბრიყვებ თავს! ვინ გიკითხავს მორალს ამ დროს?

— ჩემი ცოლი!

* * *

კბილის ექიმი აკაციენტს ეუბნება:

— როგორც კი დავიწყებ კბილის ამოღებას, შენ მთელი ძალით იყვირე!

— რატომ?!

— ხომ ხედავთ, ფეხბურთის დამთავრებამდე ნახევარი საათი დარჩა, კორიდორში კი ათზე მეტი ადამიანი მიცდის!

* * *

სკოლიდან დაბრუნებულ ჰანსს მამა ეკითხება:

— მოგეწონა ახალი მასწავლებელი?

— მომეწონა, მაგრამ გული მწყდება იმაზე, რომ ჩვენს ასაკს შორის დიდი განსხვავებაა!

* * *

ცოლი კითხულობს რჩეულ ლექსებს სიყვარულზე. უცებ გაკვირვებული ეუბნება ქმარს:

— ძვირფასო, იცი თუ არა, რომ ვინმე პეტრარკამ შენ მოგპარა ლექსები, რომლებიც მე მომიძღვენი ოცი წლის წინათ!

* * *

ციხის მცველი ეკითხება პატიმარს:

— საინტერესოა, რატომ დაგიჭირეს?

— გაგიკვირდებათ — არაფრის გამო!

— ეს როგორ გავიგოთ?

— შევიჭერი უცნობის ბინაში, სადაც არაფერი არ იყო მოსაპარავი!

* * *

— გიშველათ თუ არა წამალმა, მე რომ გამოგიწერეთ ბოლოს?

— ძალიან კმაყოფილი ვარ: ბიძაჩემმა დალია შეცდომით და მთელი მისი ქონების მემკვიდრე მე გავხდი!

* * *

თხუთმეტი წლის ჰანსი მეგობარ გოგონას ეუბნება:

— ხომ ხედავ, ფილმი გადის იმათთვის ვისაც შეუსრულდა თექვსმეტი წელი, ამიტომ წავიდეთ შინ!

— მართალს ამბობ, და, საერთოდ, ჩვენ არ უნდა ავმდგარიყავით საწოლიდან! — უკმაყოფილოდ ჩაილაპარაკა გოგონამ.

თარგმნა **მანანა ჩოკოშვილმა**

* * *

— ჯონ, რა უყავი წერილი, საწერ მაგიდაზე რომ დავტოვე?

— ფოსტის ყუთში ჩავაგდე, ბატონო!

— ბრიყვო! მისამართი რომ არ ეწერა კონვერტზე?!

— უიმე, ვიფიქრე, არ გინდოდათ მცოდნოდა, ვის უგზავნიდით!

* * *

— ავტომანქანის მართვა იცით? — ეკითხება ერთი მამაკაცი გამვლელს.

— არა!.. თუმცა ძალიან კი ვნანობ!

— სწორედ ასეთი მაძლევთ ხელს! ხომ ვერ მიმიხედავდით ავტომანქანას მხოლოდ ერთი საათით?

* * *

— გუშინ ღამეს ორმაგად დავისვენე!

— ეს როგორ?!

— დამესიზმრა, რომ მეძინა!

ფრანგულიდან თარგმნა
იონა ბადავიძემ

7·91

90-693

ეროვნული ბიბლიოთეკა

ანუ დათიკო რევიზორი

ეკატერინეს ბაზარზე

დათიკო ჩემი ხნის კაცია, ანუ, ორმოცდაათისა თუ ორმოცდათორმეტისა გახლავთ და ჯერ ოფლის წვეთი არ გადმოვარდნილა მისი შუბლიდან.

იგი ჩემთან სწავლობდა ერთ დროს. ერთ დროს-მეთქი იმიტომ ვამბობ, რომ მე მეჩქარებოდა საშუალოს დამთავრება და გავუსწარი მას, ის კი სვენებ-სვენებით, აუღელვებლად მოპყვებოდა გზას და მერმე ხელი ჩაიქნია ატესტატის აღებაზე — ისედაც კარგად გავალ ფონსო, — თქვა.

უნივერსიტეტს ვამთავრებდი იმ წელს, დათიკოზე რომ მითხრეს, — რევიზორობას მიპყო ხელი და დიდებულად მოაწყო ოჯახიო! ერთი გაკვირვება კი გავიკვირვე, — კაცს საშუალო არ დაუმთავრებია და რევიზორობა როგორ შეძლო-მეთქი, მაგრამ საბოლოოდ დავიჯერე, რადგან ამ წუთისოფელში რა არ შეიძლება მოხდეს!

რევიზორობაზე ფიქრი არც ჰქონია თურმე თოხს გარიდებულ დათიკოს, ერთი ბრმა შემთხვევა რომ არა.

ეს ამბავი ზუგდიდში მოხდა: დათიკოს მიერ ნაყიდ პიჯაკს, შემთხვევით, იარლიყი არ აღმოაჩნდა, რაც ერთი დავიდარაბის მიზეზი გახდა.

იქით მიუდგნენ, აქეთ მიუდგნენ ზუგდიდელი ვაჭრები განაწყენებულ მყიდველს, მაგრამ დათიკომ ქვა ააგდო და თავი შეუშვირა, — სამსახური საძებნელი თუ არ გაგიხადეთ, კაცი არ ვიქნებიო, — დაიქადნა.

შიშისაგან უბები მოექცათ ნოჭრებს, — დავიღუპეთ და ეგ არისო, — თქვეს, მაგრამ გამოერია მათ შორის ხელების მოძრაობაში ფრიად დახელოვნებული ახალგაზრდა, რომელმაც ქაღალდში შეხვეული ფუთა ჩაუცურა დათიკოს ჯიბეში და ამით დავიდარაბას წერტილი დაუსვა.

უიარლიყო საქონელი გალშიც აღმოჩნდა, ოჩამჩირეშიც, სამტრედიაშიც და ჭიათურაშიც (ქუთაისში ვერ ავიოვა დათიკომ უიარლიყო საქონელი, რადგან ამ ქალაქში საკაჭრო სისტემა საათივით ყოფილა აწყობილი!).

ეპატარავა სამოქმედო ასპარეზი რევიზორის სახელდანათლულ დათიკოს და თბილისს ესტუმრა, სადაც სიყმაწვილეში დიდად მოეწონა ქორფა ტარხუნა, რომლის ამბავი მთელს სამეგრელო-აფხაზეთს მოსდო.

ბაზარში შესვლისთანავე გაიაზრა, — ჯერ ტარხუნას გეახლებით და საქმეს მერე შევუდგებიო. — მაგრამ ლუდხანისკენ გაპარულმა მზერამ გადაწყვეტილება შეაცვლევინა.

მებუფეტე კათხას რიგიანად არ ავსებდა.

— ერთი ლუდხანის გამგეს დაუძახეთო! — ბრძანა დათიკომ და იღლიაში ამოჩრილი საქაღალდე მაგიდაზე დადო.

სამზარეულოდან გამოსულმა გამგემ შეხედა დათიკოს და ერთი ჩაუღიმილა.

— ფაქტურა მოიტანეთ და კათხაში ჩასხმული ლუდიც ავწონოთ! — თქვა დათიკომ.

გამგე ახლა სულ ღიმილად იქცა.

— შენ დათიკო არა ხარ, წიე? — ჰკითხა მან.

დათიკოს არ ეჭაშნიკა ნაცნობთან შეხვედრა, მაგრამ უკან არ დაიხია.

— ფაქტურა და ხაჩივრის წიგნი! — გაიმეორა და საქაღალდეს დაადო ხელი.

— არც ერთი და არც მეორე რომ არ მოვიტანო?

— არ მოიტან და აქტს გაგიფორმებ!

— გააფორმე, ოღონდ დანომრილი აქტი უნდა იყოს! — ბრძანების კილოთი თქვა გამგემ.

დათიკო დაიბნა, არ იცოდა, თუ რას ნიშნავდა დანომრილი აქტი.

— ახლა იცი, რას გიზამ? — უთხრა გამგემ დათიკოს.

— რას მიზამ?

— კაი ალიყურს გაჭმევ!

— დათიკომ შვება იგრძნო, ალიყური ტარხუნას მეორე სახელად მოიაზრა და ხელი გაუწოდა გამგეს, — ვინც არ ქნას, ცოლი გაექცეხო, — უთხრა.

ორივენი გავიდნენ ლუდხანიდან.

გამგემ, რაც ძალი და ღონე ჰქონდა, მოუქნია. დათიკო გადაქანდა, მაგრამ ხომხის ბიჭის ხორაგიანმა დახლმა შეამაგრა და ასფალტზე დაცემას გადაურჩა.

— ეგ რა არის? — იკითხა, როგორც კი წამოდგა და ბაზრის სიღრმიდან მომავალ მილიციელს დაადგა მზერა.

— ეგ ალიყურის ჭმევაა, დათიკო! წადი, სანამ ნეკნები შეგრჩენია!

დათიკომ მოახლოებულ მილიციელს შეხედა და დაძახება გადაწყვიტა, მაგრამ ზეციურმა ძალამ დაუშალა: — დაკითხვა-გამოკითხვაში შენი ვინაობაც გაირკვევა და ცუდ დღეში ჩავარდებიო, — ურჩია.

როგორც ნაცნობები მეუბნებიან, დათიკო კვლავ განაგრძობს რევიზორობას, მაგრამ ახლა დიდ სიფრთხილეს იჩენს თურმე.

იპოლიტე ბამსახურდია

სატირისა და იუმორის ჟურნალი „ნიანგი" №23 (1825). დეკემბერი. გამოდის 1923 წლის ივნისიდან.

მთავარი რედაქტორი ზაურ ბოლქვაძე

სარედაქციო კოლეგია.

ავთანდილ ადეიშვილი (პასუხისმგებელი მდივანი), **ჭაბუა ამირეჯიბი, ნომადი ბართაია, რევაზ თევარაძე, ჯემალ ლოლუა** (მხატვარ-რედაქტორი), **ნოდარ მალაზონია, ალექსანდრე სამსონია, ბეჟან სიხარულიძე** (მთავარი რედაქტორის მოადგილე), **ჯანსუღ ჩარკვიანი, თამაზ წიკლაური.**

ტექნიკური რედაქტორი **ირაკლი დუნდუა**

გადაეცა ასაწყობად 5. 11. 90 წ. ხელმოწერილია დასაბეჭდად 30. 11. 90 წ. ქაღალდის ზომა 60×90 1/8, ფიზიკური ნაბეჭდი ფურცელი 1,5. საღრიცხვო-საგამომცემლო თაბახი 1,9. საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობა, მ. კოსტავას ქ. № 14. შეკვ. № 2390. ტირაჟი 125.000.

ჟურნალი გამოდის თვეში ორჯერ. რედაქციაში შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდებათ.

ჩვენი მისამართი: 880008. თბილისი-8, რუსთაველის პროსპექტი № 42.

ტელეფონები: მთავარი რედაქტორის — 99-55-54, მთ. რედ. მოადგილის — 93-19-42, პ/მგ მდივნის — 93-10-78, მხატვარ-რედაქტორის — 99-02-38, განყოფილებათა გამგეების — 93-49-32, რედაქტორ-ლიტ მუშაკების — 99-02-38, მდივან-მემანქანის — 99-76-69.

Сатирико - юмористический журнал «НИАНГИ» (На грузинском языке). Тбилиси, пр. Руставели № 42. Издательство ЦК КП Грузии, ордена Трудового Красного Знамени типография издательства ЦК КП Грузии. Тбилиси, ул. М. Костава № 14.

ფასი 20 კაპ.

ინდექსი 76187

ЦЕНТРАЛЬНЫЙ ЗАКЕМПЛЯР